

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო, საკითხთა და ეთიკის  
კომისიის სხდომის

### ოქმი N10

ქ.ვანი თავისუფლების N65

4 სექტემბერი 2019 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** ვარლამ გიორგაძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი: N1/*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი (ირმა კიკაბიძის არყოფნის გამო) - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- სალომე ფახურიძე

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

**მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ“. კერძოდ, წესდების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტიდან ამოღებული იქნას ამოღებულ იქნას N3-ე საბავშვო ბაღი, დაემატოს მიქელეფონის და ძულუხის საბავშვო ბაღები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1. „სამსახურის სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაცია, ვანის N1, N2, ამაღლების, ზზვანის, ზედა გორას, შუა გორას, დიხაშხოს, ქვედა გორას, ზედა ვანის, ზეინდრის, მთისძირის, მუქედის, სალხინოს, სალომინაოს, სულორის, ტობანიერის, ფერეთას, შუამთის, ციხესულორის, უხუთის, საპრასიის, ინაშაურის, ყუმურის, მიქელეფონის და ძულუხის საბავშვო ბაღები“ და შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა აღნიშნული ცვლილების თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წესდებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმით, რომ სურსათის უვნებლობის სტანდარტების დარღვევის გამო გაუქმდა N3 საბავშვო ბაღი, საიდანაც აღსაზრდელები და თანამშრომლები გადმოყვანილ იქნა N1 ბაღში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტის

მასშტაბით დაემატა 2 ბალი: ძულუხის და მიქელეფონის საბავშვო ბაღები, ძულუხისა და მიქელეფონის საჯარო სკოლაში საბავშვო ბაღისთვის გამოიყო ფართი. გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ძულუხის საბავშვო ბაღისათვის 64,315 ლარის ღირებულების, ხოლო მიქელეფონის საბავშვო ბაღისათვის 40,129 ლარის ღირებულების.

კომისიის წევრებისა და მოწვეული სტუმრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე-8

წინააღმდეგი-არცერთი

**დაადგინეს:**

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ (ს/კ 229658572) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 307 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

*/დანართი:2/*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გელა ჩიკვაიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გელა ჩიკვაიძე**

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,**

**სამანდატო, საპროცედურო, საკითხთა და ეთიკის**

**კომისიის თავმჯდომარე**